# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000032595595119



0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com


№ **7** **03 / აპრილი / 2019 წ.**

## დადგენილება

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლის 1.**

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/01/2018 სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.162.016419) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის პირველი აპრილიდან, წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება და თანამდებობრივი სარგოები

| № | საშტატო ერთეულის დასახელება | რანგი | საშტატო რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|---|
| 1 | აპარატის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 1 | 1500 |
| 2 | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმის წარმოების და საკადრო საკითხებში) | 3 | 1 | 900 |
| 3 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმის წარმოების საკითხებში) | 3 | 1 | 800 |
| 4 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში) | 3 | 1 | 800 |
| 5 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში) | 3 | 1 | 800 |
| 6 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) | 3 | 1 | 800 |
| 7 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1 | 800 |
| სულ | | | 7 | |